


3-67



ქართული კულტურის მუზეუმი

№ 29

ფოტოფირი გამოს

სახელი	_____
გვარი	_____
მიმღები	_____
მიმღები	_____
მიმღები	_____

ფასი 10 ლარი.

3305  
3-67



№ 29

28 მეტათოვე 1913 წ.  
ბიბ-ინიციატივა



შოველ კვირაული საზოგადო ეკონო.

მიური და სალიტერატურო უნივერსი

რედაქცია ლია 5 - 7 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტია: თბილისი კლდე.

**სარჩევი:** ჩვენი აკლადიდება. — ალ. უიფშიძისა. ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე. — რ. გესი. სევდა მთისა. — კონსტანტინ ანდრიონისა. მონტება და კაპუდები. — ფარსმან-ფარუბისა. ჭავშირი თუ უკავშიროდ. — თევდ. ლლონტისა. საკრედიტო ამხანაგობი და საშუალებო დეპრაციები. — კოოპერატორისა. პრესა. ბალვანეთის ამი. ა—ისა. მოწყრილი ამბები. ნარევი.

შემდეგი ნომერი გამოვა 11 მარგამობისთვეს.

## ჩვენი აკლადიდება

დღემდის გარკვეული და გაცხრილები ცნობანი არ მოიპოვებოდა ჩვენს ლიტერატურაში, თუ რამდენიმე ან სახმარი, ან უხმარი მამული საერთოდ კავკასიაში, და კერძოდ ამიერ კავკასიაში. დიდი დანაკლისი იყო ასეთ ცნობათა უქონლობა. ცხოვრების დამკარგებელი და მკვლევარი აუტანელ გაკირვებას და ხშირად ფიზიკურ ტკივილს განიცდიდა, რადგან არ იცოდა, რის პატრონნი ვართ, რა გვაძადია და სიღან ვშოულობთ „პურსა არსებობისა“.

ჩვენის ფიქრით, დიდის უნარით და მოხერხით, მიმით და სიყვარულით ეს აუტანელი და შეუწინარებელი დანაკლისი ჩვენის დაქვეითებულის ცხოვრებისა შეავსო ჩვენმა

თანამემამულებ ირტემ სტეფანეს დე ფირალოვმა \*). იქნება გის გამოკვლევის ამ საგნის შესახებ ჰქონდეს თითო თროლა ნაკლულევანება, მაგრამ ეს ავტორის ბრალი არ არის. მის მიერ გარკვეულს და გაცხილულს მასალას იმდენი ბზე, ბუჩო და ნაგვი სდევს თანა, რომ თითქმის შეუძლებელია ამ ეამად სუუთა ნაკმაბის მიღება. ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, ბევრი კოკა გატყდება წყალზე, ვიდრე ველირსებით ისეთს სამეცნიერო გამოკვლევებს, როგორითაც სავსეა მწირ ბუნებიანი, თოვლ-ყინულიანი, სალკლდოვანი და ჭაობიანი პატარა ფინლიანდია. რა დიდი ბედენია იდლი მიწა, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ფინლიანდიაში ვერ იპოვნით ერთს იდლს მიწას, რომლის ვითარება—ლირსება არ იყვეს გამოძიებულ-გამოკვლეული, აღწერილი და შესწავლილი.

აგრონომ ფირალოვის გამოკვლევა დაიბეჭდა პეტერბურგს წრეულს ამ სათაურით: კავკასიის შინა-მრეწველობის მცირე აღწერა (Краткий очеркъ кустарныхъ промысловъ Кавказа).

რას გვიამბობს ეს ხაყურადლებო წიგნი?

სიგრძე მთაგრეხილისა, სადაც გამუდმებული თოვლი სდევს, 300 ვერსია. აქა სდევს იალბუზი,

\* ) აგრონომი ფირალოვი სიჭაბუქის დროს თანამშრომლობდა „კავკასიძის“ ფსევდონომით ჩვენთან, ვრ. ყიფშიძესთან, დონ-იაგოსთან (ი. ა. მანსვეროვი) და სანოსთან (სტ. კრელაშვილ) ერთად „ივერიაში“ იღვა ჭავჭავაძის რედაქტორობის დროს.

რომლის სიმაღლე უდრის 18,470 ფუტს, ანუ 5,200 ვერსს, აქვეა ჩვენი შეინვარი (ყაზბეგი), რომლის სიმაღლე უდრის — 16,546 ფუტს, ანუ 4,7... ვერსს. კავკასიის უმთავრეს ქედზე აღმართულია მათს გარდა 150 მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალი, რომელთა სიმაღლეც სჭარბობს 12,000 ფუტს. მცირე კავკასიაშიც მოიპოვება იალბუზისთანა და ბუნინვარისთანა ბუმბერიაში, მაგალითად დიდი არარატი — 16,915 ფუტი და ალაგეზი 13,436 ფუტი. არც არარატს და არც ალაგეზს თოვლი თავის დღეში არ მოშორებია.

საუკუნო თოვლის ხაზი იწყება 12,000 ფუტის სიმაღლეზე ამ ხაზის ზემოდ ბუნება მკვდარია, ორგანიული ცხოვრება თითქმის არ არსებობს და მაშინადამე საუკუნო თოვლიან ხაზის იქით მდებარე ტერიტორია, ვითარცა უხმარი და უვარვისი უნდა გამოიჩიცხოს სათვალავიდან. იქ მშრომელი კაცი, რაც უნდა ისტატი იყოს იგი, სახრდოს ვერ იშოვნის.

საუკუნო თოვლიან ხაზის იქით მდებარე ტერიტორიის გამოკლების შემდეგ, ავტორი დანარჩენს ტერიტორიის ჰყოფს თოხ სამეურნეო ზონად.

პირველი ზონა იწყობა 8,000 ფუტიდან და უწევს 12,000 ფუტს. რვა ათასის ფუტის სიმაღლეზე ვაივაგლახით ჰხარობს ტიტველი ქერი, მაგრამ იმაზე მაღლა ეს ქერიც აღარ მოდის. ამ ზონაში მოიპოვება მშვენიერი საზაფხულო საძოვრები იალაღები. იქ მუდშივი ცხოვრება შეუძლებელია, მხოლოდ ზაფხულობით, ესე 3—4 თვეს, ძირობებიდან ამორეკავენ ხოლო მსხვილსა და წვრილს საქონელს საძოვრად და გასასუქებლად. წამოვა თუ არა თოვლი, ხშირად 10—15 ავვისტოს, მომთაბარენი ნელ-ნელა ძირს ეშვებიან და ზამთარს იტარებენ თბილ აღგილებში, ესრულ წოდებულ საზამთრო საძოვრებში, ანუ ყიბლებში.\*)

მცირე მთა გორიანი ზონა იწყობა 5,000 ფუტიდან და აღის 8,000 ფუტამდე ზღვის თარაზოზე. სულ ამიერ-კავკასიაში ითვლება 10,693 სოფელი, ამ საერთო რიცხვიდან დახლოვებით 10—15% სოფლებისა მოდის შეორე მთა-გორიან ზონაზე.

\* ) დაახლოებით ამ ზონაში, ამიერ-კავკასიის ხუთს გუბერნიაში, არის 8,525 თოხ-კუთხი ვერსი, ანუ 895, 125 დეს.

მცირე მთაგორიანი ზონა აგრეთვა მდგრადია საძოვრებით. გლეხეაცობა მისდევს საქონელს / მოშენებას და თავს ირჩენს წველა-ულვეტული მაღლაგილია ხვნა-თესვისაც ეკიდებიან // მთების უკანასკნელის, კვავს, ქერ-პურის და ლობიოს (რუსულად: КОНСКИЕ НОБЫ), მაგრამ ვაი ასეთს თესვას. ხშირი სეტუაცია და ნააღრევი ყინვები სელ ერთიანიდ ანიდგურებენ კინახულს და ხელუარიელზე სტოვებენ მთიულს. ხევსურეთში მაგალითად კაი საქმე იქნება, თუ 3—4 წელიწადში ერთხელ მაინც გადარჩი კინახული სეტუვისაგან დაურევავი, შეუცივნელი. ამ ბოლო დროს მთიულებმა შემოიღეს თურმე კართოფილის თესვა. დიდს შეღავას მისცემს ეს მცენარე მშიერ მთიულს, თუ მხნელ მოეკიდებიან მის მოყვანას.

მესამე სამეურნეო ზონა, მდებარეობს 2,500 ფუტიდან მოყოლებული 5,000 ფუტამდე. ზომიერის ჰავით და ჯანსაღობით ყველაზე უკეთესი ტანი სწორედ ეს სამეურნეო ზონაა. აქაა ბლომად სამთო ველ-მინდორი, აქვეა უხვად გრის ტყები. ამიტომაც ეს ტანი მჭიდროდაა დასახურებული. ჩვენის ტერიტორიის ამ ტანზე გაჩაღებულია ხვნა-თესვა; მოპყავით: პური და ქერი, სიმინდი, სელი; იქვე მისდევენ მებოსტნეობას და მეხილეობას.

მეოთხე ზონა, ანუ ტანი მდებარეობს 2,500 ფუტის დაბლა. ამ დაბლობიან თბილ ტანზე მშვენივრად ჰხარობს ძეირფასი მცენარეულობა. მაგალითად: ვაზი, ბამბა, ბრინჯი, სალაფი (კლეშვენა) და სხვა.

აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში (განჯისა და ბაქოს გუბერნიები) და სამხრეთისაში (ერევნის გუბერნია) ურწყავად ზემოდ ჩამოთვლილი ძეირფასი მცენარეობა ვერა ჰხარობს, ხოლო დასავლეთ ამიერ-კავკასიაში (ქუთაისის და შავი ზღვის გუბერნიები) ურწყავად კარგად ხეირობს, რაღაც ჰავა გაეღენთილია სინებრით. ზემად აღნიშნულ მცენარეებს გარდა ხეირობს აქ ჩიი ზეთის-ზილი, ბამბუკი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და ზოგიერთი ჯიშის ბზა. იმის და მიხედვით, თუ რომელ კუთხეს რა მცენარე უფრო ხეირობს, მკვიდრდება და ფეხს იკიდებს ახალი ტიპის მეურნეობა ჩვენის ქვეყნის ამ ტანზე, ანუ ზონაში.

#### ა. უიფშიძე.

(დასასრული იქნება).

# ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე



სახელოვანი არ გვყავს პატროკლე  
სასიზღაური კი ტერსიტეტი მიწაზედ დაიარება /  
ილიადა

ფილიპე მახარაძეს და მის ზნე-დაცემულ კომ-  
პანის კიდევ ერთხელ მოუსურვებიათ გამოშეუტე-  
ბა თავისი პილწი გულისა და ახლა მიუმართავთ ორი  
გინალურ საშუალებისათვის — შეცდომაში შეჭყავთ  
გულუბრუვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც  
ბრძად აჰყვება ხოლმე თავის გალავებულ ბელა-  
დებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია,  
ს.-დემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან  
დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა იქვთ  
გადაქცეული ხალხის გაბრიყება იქ, სადაც სიმართ-  
ლით ვერას ხდებიან, მაგრამ ძნელი წარმოსადგე-  
ნია, რომ მოკლული მგოსანი, რომელიც მსხვერ-  
პლად შეეწირა ფ. მახარაძისთანა ხალხის უკიცმას  
— დღესაც აზ პოულობდეს მოსვენებას საფლავში.

ჯერ იმ შავბნელ დროს, როდესაც მოელი ერთ  
ალმატოთებული იყო უმაგალითო, უმზგავს მკვლე-  
ლობით, როდესაც მოელ საქართველოს ბინდი გა-  
დეკრა და გული დათუთქული პქონდა — გონება ვერ  
ურიგდებოდა იმ შემზარავ გარემოების, რომ მოი-  
პოვებოდნენ ისეთი პირები, ჯგუფები, რომელნიც  
ამართლებდნენ, ან უსიტყვიდ ურიგდებოდნენ იმ  
მკვლელობას. ჯერ მაშინვე გაისმოდა ხმები, რომ  
ეს პარტიული მკვლელობა იყო, მაგრამ არც ერთ  
შეგნებულ ადამიანს არა სჯეროდა ისეთი უხამსი  
ბრალდება მთელი პარტიისა და მაშინვე ცხადი იყო  
მხოლოდ, რომ შეუგნებელი ნაწილი ამ პარტიისა,  
ერთი ჯგუფი მისი, იზიარებდა ამ მკვლელობის ბრალ-  
სა. ეს ისეთი მენის დატეხა იყო მაშინ, რომ შესა-  
ძლებელია, ბევრმა გადააჭირდა კიდევთავის სიფიც-  
ნეში; მაგრამ როდესაც დღეს, შვიდი წლის შემ-  
დეგ, ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმდე  
ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რო-  
დესაც დღესაც თითქმის ამართლებენ ამ საზიზლარ  
მკვლელობას — ჩვენ იძულებულნი ვართ ვითიქროთ,  
რომ შემქმნელნი ილიას მკვლელობის იდეისა და  
დამბადებელნი — სწორედ ს.-დ. იუვნენ.

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც  
კერძო საკუთრების პრინციპის მომხრე და მემამუ-  
ლე, დაიცავდა თავის მამულს, გაუმკლავდებდა იმ  
აზრის გამარჯვების, რომელიც წინააღმდეგი იყო  
მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად და-

უმტკიცებია, რომ ამ თავდაცვაში მას რაიმე სისახ-  
ტიკე ჩატანის ან გლეხების დარბევა მოეწადინები-  
ნოს. ცალისწამება სწორედ ამაში არის და ფ.  
მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია, საკა მას  
ავაზაკად გამოშეავდა იდეური დამცველი კერძო  
საკუთრებისა — სწორედ ის სტიმული იყო, რომელ-  
მაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაულო. დიდ-  
ბუნებოვან ადამიანთ ხშირად დიდი ნაკლებიცა  
იქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამცუ-  
ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც  
ყოველ უბრალო ადამიანისა, არამედ ერთი-ათად  
მეტი. ადამიანს უფლება არა იქვს შეგნებული,  
პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდი-  
ლით რწმენისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი  
კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა  
მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, — და რა  
იყო, თუ არ სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელო-  
ბა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო, არ იყო  
გამოწვეული ალმატოთებით, ან პირადი ჯავრით —  
არა ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი რა-  
ში იქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა  
ადამიანის სიკოცხლე გროშად ფასობდა, როდესაც  
კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ  
ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა სოციალის-  
ტურ წრეებში გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა,  
რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური  
მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი,  
ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რა-  
ღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის  
ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობი-  
სათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის  
მკვლა სიყოჩალეთ ითვლებოდა. და იმის დასამ-  
ტკიცებლიდ, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ  
იყო, არამედ შეგნებულიდ მომზადებული და „პო-  
ლიტიკური“ ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდე-  
ური მოწინააღმდეგისა — ისიც ქმარა, რომ მკვლე-  
ლები „შეწუხებული“ გლეხები კი არ იყვნენ,  
არამედ ვიღაც სხვა, გარეშე წრეებიდან გამოსულ-  
ნი. და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (под-  
стрекатель) იყო ფ. მახარაძე.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტუვით, რომ ფ. მახა-  
რაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რაღან იმდენი  
კუთა თუ ჰქონდა მაშინ, რომ შეუგნებელ ბრძოს  
ხელმძღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ჰქონოდა  
გათვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულს ბრალ-  
დებას რა შედევი შეიძლებოდა მოპყოლოდა. გარ-  
და ამისა, განა ეხლანდელი მისი და მის ამხანაგთა  
განგაში, ეხლანდელი განმეორება ცილისწამებისა,  
არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრისინი  
არიან, რომ ილია სამართლიანად მოპყლეს, მის  
მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა ის, კუთა  
და აზრს მოკლებული პროტესტები, რომლებსაც  
აწერინებენ ვიღაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტკი-  
ცებენ, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ  
მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? განა ისი-  
ნი, ვინც მცდარს არ ასვენებენ საფლავში, შესდ-  
გებოდნენ იმის მადლით მოსილ ნიკის წინაშე და  
იტყოდნენ: შენ, მართალია, აღამიანური ნაკლები  
გაქვს, მაგრამ მაინც პატივსა გუემთ, როგორც ლირ-  
სეულს?

არა, ისინი დღესაც გაუგმირავდნენ მას გულ-  
სა, რაღან ფანატიკოსური შ მეცნება, რომელიც  
მით უმეტესად იპყრობს ადამიანს, რაც უფრო და-  
ბალ საფეხურზედა სდგას იგი განვითარებისა და შე-  
გნებისა,—დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალე-  
ბას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევად. და რო-  
დესაც ნამდვილი, ევროპიელი დემოკრატია მუხლს  
მოიდრეკა დიდი შეოსნის წინაშე და ეტყოდა: მი-  
რონცხებულო, ნაკლი შენი ჰქონებიან შენის შა-  
რავანდელის ბრწყინვალებაში, ჩვენებური შეუგნებე-  
ლი, გაბოროტებული და მარტო შურით ალკურვი-  
ლი „მუშათა პატია“ (აფსუს სიხელო) ეუბნება  
მუშას: წვრიმალი მიზნისათვისაც კი არ დაინდო დი-  
დებული ადამიანი. ეგრეც უნდა იყვეს: იდეა, სამუ-  
შაო იარაღსა ჰგავს—კუვიანის ხელში ხმირდება სა-  
სარგებლო საქმეს და ბრიუნი ხელ-ფეხს წარიკვე-  
თენ, ან სხვას დაასახირებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმო-  
ბას და ზიზღას იმ პირებისადმი, რომელნიც ილია  
ჭავჭავაძის წმინდა სისხლისაც არ ინდობენ და თავი-  
ანთ პოლიტიკური მღიქვნელობის იარაღიდა  
ჰქმნიან.

რ. გ.

## ს ე ვ დ ა მ თ ღ მ ს

სიმარტინი  
(ფანტაზია)

1.

ამართულა, აზოვიდა მთა მაღალი, და აშაკად,  
მეღიდურიდ გადმოსცექის კეკლურ სიღინძე გაშეიძლება  
ბარსა. მეღმივის თოვლითა და ღრუბელით ხროვთ და-  
გვირგვინებული, უძრავთა სდგას და მისი სიდაცე აშ  
ქვემითურ სტიქიოზს არ უშინდება, არ ედრიკება და არა  
უმორჩილება.

დაღვრემილ... მირქუშა უშეებს არა-მარტა...  
არვის უზიარებს კლდე გუდშა ჩამარხული  
ბას.

სეგდის ნისლით მოცელი, მხის შხარულ სხივებ-  
საც-კი ჩაღვდით ჭმთსავს და მოედგრე კარტველადნი  
ხომ მისი მწერის მოხანი არას.

დამის მხატვათ მერთადი ნითელის ჭანგი ჩახას-  
ვთ კალინება, საუკუნეთა მიმდინარეობაში დღიუდიდე  
კლდეების და ნაზი სით ამ ნადვდითა ხასა შოედი სამ-  
კაროს ასმენს.

ამ სევდის ჭანგით დამოურადი ბუნება მიუწერება,  
განაბეჭა, სმენად გარდექცეულა:— კით გავიდეთს მახუც  
მთის შეწუხება? ხომ განრისხდა, ხომ წრმოგზავნა ზე-  
რამ, მთის მიზანებულმა, რისხყდა ხომ წალექა ბარი! ხომ  
გაანადგურა და მიუღებით-მთვლითა ფერადი ხელის პაბ-  
ლურ ბარისა?

მთხოვთა ბარი მთისა... მეღმივ მის შებედი შე-  
ცერის; კოველი ხავვთი ამ შებედის მაჩვენებელით მთის  
გუნებისა და ბარის იმუღებელით ამ ხავვთით მოძრაობის  
თვალი ადეხოს.

კერა, კერ გაჭიდები ურჩობასა!  
მთის სევდა, სევდა არის ბარისა;  
მთის ხადვდი ხადვდი ბარისა;  
მთის მწერი, — ბარის მწერია.

სევდა მთისა..

პარმა იცის, იცხოს სიძღვიურეს ამ სევდისს. რამ-  
დენიც დასცემია ხაღალებითი ცხა მაბჯენიდ მთის ცრეპ-  
ლით სევდისა; რამდენიც გაუშია ამ ხაღალების მარდი  
ბარისა და რამდენიც წაუღება მთის გუდი!

აბა ვის მთხოვდის? ვის მერწევს ამისათვის ჭერ-  
და აზრი?

იცის ბარმა გემთ მთის ცრეპლების, იცის!

შავრამ ბარი რთდია მესაიღუმლე ბუმბერას მთი-  
სა:

მთა ამავია, — ბარს თავს როგორ გაუგადრების, რო-  
გორ ეტევის თავის სევდას, ვით გაუზიარებს; და თუნდ

გაუზიაროს პიდევთ, სად შესწეს ძაღლ ბეჭდუცად აბიბიანებულს და შხავებულს ბარის მთის ნადველის სიმძიმის სტანის?

მთა მდივრია, — აბა, ბარი მას როგორ შეადარება?

მისი მკერდი კლდეა საღი, მაგარი, — ბარისა-კი ღიბილი დედაშია.

მთა მაღალია, ცემდე ასელი, — ბარისა მთის ფეხთ ქვეშ გამდილი.

განა გაიგებს ბარი მწერის მთისას, შეიძნება?

და რომ შეიგნოს, განა აიტანს?

რა! არა! სად შეუძლიან!

მთა ზეცას ესაუბრება, ზეცისაკი მიუმართავს ვედრება, ზეცას მუშადრიალებს ხევდეს კლდე, მკერდში და-მარხვდეს, ზეცას აჩვენებს ცეცხლის გულისას.

ზეცა?

ზეცამ იცის, გაგებული აქვს მთის სევდის საგანია: მთის ღაღალმა მაღალია ზეცამდე.

შეიგნო ზეცამ მწერი მთისა;

შიხვდა მის ტანჯვას, მის ვაჟიას;

სცხო, რამაც გაუქცდარავა თავი;

შეიცემო, რამაც აუზორ მკერდში ცეცხლი

შეითვის ზეცამ მთის ნადველი, მწერი და სევდა; —

და აკა ამიტომაც დაჭირა მთის ჭადარას დრუ-  
ბელთა ვიდა,

აკა ამიტომაც გააკედეუცა მთის მთხაზულობა;

აკა ამიტომაც მთხმართა სევდიანად მნათობოს სი-  
სათლის ჩანგი;

აკა ამიტომაც მიიზიდა მთა, ზე ასწია და სიბრა-  
ლულით გულში ჩაისუტა.

მაგრამ რა?

არ გაქარწეულდა სევდა მთისა,

არ მთისპირ იგი,

არ მთხუცილდა ნისლი მწერისა,

არ გაბათილდა ტანჯვა მთისა,

არ შესწევდა დენა ცრემლით ნაკლის ნიადვარისა; —

გვდავ იგო და არის..

ასეთია სევდა მთისა.

2

გაშლილ ბაღში, ხის ძირში, სავსე მთვარის შექმ-  
ნის არიდებუნ შეუვარებულია.

ბედნიერია, მარტოდ შოენილი, ღუმილით შეს-  
ტერიან ერთმანეთს და მათი სასის ნაკვთია შეტეველო-  
ბენ დიად ძაღლის სიფარულისას.

ეს წუთა მათთვის წუთი მაღალ გრძელის გან-  
ცდისა.

რათ უნდათ სიტყვანი?

დუმილი მათი სიტყვებზე მცეკრ-შეტყველია: — ან-  
თებულ თვალთა ელევრება გამომოქმედია შათ გარდა  
ჩეტირებისა:

უკრაინული

ბაგეთა ღიმილი? ღიმილი ხომ გმორგვანის უტეტ-  
უბასეთ შეუვარებულობა მეზერ და ციურ განცდისა.

— მე და მენ; სხვა არავინ, მუტმაჟლობენ სახენი  
შეუვარებულობა.

— დღეს ჩვენ დიადი ვართ, ამბობს ბაგეთა ღი-  
მილი; ცახტი ღავილოთ და ზედ მუკლოლება და ნეტა-  
რება დაგ-მკვიდრეთ ჩვენთან ერთად. აბა, გაისხენე რის-  
გან. ას მასალისაგან ამენდა ეს ტახტი? რითი შევაკო-  
ნიშეთ ხაწილი ამ შეხობისა, რომელზედაც ჩვენ ფეხი  
მოვიკიდეთ და რომელიც იქნება სამუართ სამარადისთ  
ჩვენის სახეტარო სიუვარულისა! განქრა უოველი! ადარ  
არსებობს ჩვენთვის სევდა!.. ჩვენ შევეთვისეთ ერთმა-  
ნეთს, შევვერთდით, შევზავდით, რა განვიცადეთ ზრახ-  
ვანი ჩვენის გულისა... ერთხელ შევიქმნით და აწ ჩვენ-  
თვის, ჩვენის შეფურის უოვისათვის გამშვენდება მთელი  
ბუნება. უოველი არსა. ჩვენ დაგემორჩილება, ჩვენის  
მკვიდრ ტახტობის მოვა, მესლის მთიერის, მთიტანის  
შეხერსლის, აასთებს, ააბოლებს და ამბრის სურნელოვა-  
ნების ტელქი სით ჩვენამდე წარმაიტაცებს...

ჩვენთვის აკოკრდება ვარდი გაზაფხულისა;

ჩვენთვის დასტებებს და დაჭიუფებ ბულბული;

ჩვენთვის ამწვანდება, აძინდდება ჭეკილი და ჩვენ-  
თვის-კი დაბურდება იგი;

ჩვენთვის!

ჩვენთვის დაისხავს განებივრებული ვაზი მტევნების  
უუძნისას, ჩვენთვის დამწიფედება და ჩვენთვისგვე და-  
ლუდდება წითელ დგინდოთ.

ჩვენთვის ადიჭურვება იგი ღვიძო ძაღლითა თვისი-  
თა, ჩვენთვის გარდიქმება იღუმალ ძაღლს მთხოვდება და ჩვენ-  
თვისგვე შეითვისებს ძაღლას სახეტარო დათერმინისას. ჩვენ-  
თვის დაჭნურვას ზეცა თოვლის საბანს გაციუბულ  
ღედმიწას, ჩვენთვის გაუთბობს მას გულ-მკერდს, ჩვენ-  
თვის გაუხერებს მას, რათა კვლავ წარმოგვიგზავნას  
ნეუთონება ძაღლის თვისისას.

ჩვენთვის, ჩვენთვის, მხოლოდ ჩვენთვის!..

— აწ-ეს ვაკელვარებთ, მეტეველობენ მათი თვა-  
ლები; განქრა ჩვენი მიბნედილობა: ავინთენით სიუვარუ-  
ლის კოცონით! ჩვენ შეგვიძლიან შევეცილოთ ცის მნა-  
თობთ, ეღვასაც-კი! რადა ჩაგაქრობს? დეკ დაბნელდეს,  
გარდაიქცეს უბუნეთად ის ქვეანა: — ჩვენ გავგლევთ  
წევდიალს, გავაბრწეინებთ! ჩეტარების ცეცხლს წაფუ-  
ლებთ და სიუვარულის დამსრად დაკენთობით, ჩვენ ხომ  
დაჭიუფით, ფეროვალ ვაქციეთ სევდა ჩვენის გულისა; ხომ

გავანადგურეთ მწეხრი სეფისა ჩეკისა; ხომ გაგაბათი-  
ლეთ ნაღველი ჩენის სერვილისა?..

და ასე, ამგარად აღზნებული და აღტაცებული  
მათი სახენი გამოსთხვამდებარებას.

ერთ ჭიმნად ამდერდენ, მძღვანელი ხმელად ახმაუ-  
ლენენ შეუვარებულთა თვალი ნათელი, დიმილი სა-  
მური და გამდილ სახეთა ნაკვთია... .

— მერე, როგორ მოხდა, რაჩიარად. ვით შეიგენი  
შენ ჩემი შენდამი მისწრავება, უპიოხება ბული ვაჭისა  
გულსა ქალისას; ჩემი სევდა ვით შეიტუ, როგორ გა-  
იგე ჩემი მწეხრი, ან ვინ მოგითხრო ჩემი ტანჯვის  
ამბავი?

— შემა სახემ, უპასუხებს ქალის თვალები. თდეს  
გამზერდი, გაევინდებოდი, თვალს ვაღევნებდი შენს ს,  
ხეს. სარკესავით აღბეჭდილიერ მასზე ზრახვანი შენი-  
გულის. მე ვიხედებოდი ამ სარგები, ვიხედებოდი დ  
ვხედავდი იმ სევდას სიუვარულისას, რომდიაც დასი-  
ლიერ შენი სელი ბაგენი შენი დამწუხერებული, გამ-  
შრალი და ერთი მეორეს მიკრობილი, არ ისკროდნე-  
სიტუაცის, არა! დადემუბული შეტეველთაბდენენ. ას რად  
შეეძლიან სიტუაცის სოქვას ის, რასაც შენი ბაგეთა დუმი-  
ლი ამბობდა; რად შეეძლიან? თვალი შენი ნახევრად  
დახუჭული, მიმქრადნი, მიბნედილი შენის გულისაკენ  
ოდნავის შექმთ გზას მინათებდენენ და მეტ ჩაბრზდი და  
ვიხილე შენი სევდა...

— ვიცი, ვაცი, ამბობს დიმილი ვაჭისა, ეხლა-კი  
ვიცი: ჩემმა სახემ გამცნო უაველისოური არა?

— კო, შემმა სახემ!..

და კვლავ ამდერდენ ჭიმნითა სამურითა შეუვარე-  
ბულთა სელი და უძღვნეს ჭიმი იგი ბედნიერი და სა-  
სეტართ დიადს ძალას სიუვარულისას.

შეიძინეს სევდა ერმანტოსა და სიუვარულის ძლიერ  
ცეცხლზე დასწევეს იგი სევდა; ფეროლად აქრავი და მის-  
ცეს ნიავ-ქარს ზღვაში ჩასატანად; ზღვაში, რადგანაც  
ზღვა სალართ და ბუდე სევდის.

კვლავ გამდიდ ბაღში, ხის ძარას, საუსე მითვარის  
შექს ბირს არიდებენ შეუვარულია... და გაღობენ, გა-  
დამდენ, გადობენ... .

### 3.

ესმა ეს გალობა ამავს მთას;

მიაღწია აღტაცებულმა სიმდერამ ბუმბერაზ მთამდი.

მთის ჭაღარამდე წარიტაცა ცელქმა ნიავში გრძნო-  
ნანი შეუვარებულთა და ჭიმი იგი სამური, მეთხზედი  
დიად სიუვარულის ძალისათვის.

ისედაც შეერული შებდი მთისა, უფრო შეიცა,  
უფრო ჩადრომავდა...

დაფიქრდა მოხუცი... დაუკვირდა შეტეველისას შე-  
უცარებულთა სახეებისას.

ნისლი სევდისა უფრო გახშირდა.

ზეცამ იკრძნო მთის მწეხრი ფარდულობისა და

უფრო შეტევალედ ჩაიგრა გუდში. გიგანტური  
ჩამოუშვა დრუბელთა ხროვანი და საბასაფით გა-  
დაჭირდა.

დამეც მთაღუშა...

მთოვარე ჯერ გაწიოდდა, მერე სრულიად მიიმადა  
და მხატვამნი ვარსკვლავი, ისედაც მკრთალი, მთლად  
ჩაჭქრნენ.

დაუუჩდა, გაინაბა ბარი.

მთამ ამთიქმინა, ამთითხრა და მქერდი კლდისა  
აამოძრავა.

ასტელა ქარი, იკლა, დაიგრიადა ზეცამ; მთის  
ჭირისუფალმა ნისლმა უხვად გადმოახოქია ცრეპილი.

ამეტებელდა მთხელი მთა და გაისმა მისი დაღადი.  
და მოედო ეს დადადი მთელს ბენებას.

ოქანე მთემზადა ბახის მისაცემა, და კისმა ჩა-  
ვილი მთხელის მთას:

— სევდა! სევდა!

შემდეგ გედრუბა:

— ძაღვა, ძაღვა ციურო, მომეცი მხარი აღმა-  
ნისა, მომმადლე ნიშა უსიტუვოთ შეტეველისა, ნიშა  
ჩემი სევდის გამოთქმისა; მომეცი ჭილდოთ სუკუნეო  
ტანჯვისა ხატება ადამიანისა!

აზერთდა ობენე, ააგორა ტაღდები და ურუთ ბა-  
ნი მისცა მთის დაღადს.

ბარმაც წერიადა ხმით კლიმანჭური უხხრა, და მის-  
ცა მძღვანი სიმფონია მთელის ბენებისა:

— „მოწმდლეო, მოწმადლეო, ძაღხო ციურნო“.

• • • • •

დიდხეს, დიდხეს იუთ დამე მთდუშედი, მთოვა-  
რე მიმაღული, ვრცელებავნი ჩამქრალი დიდხეს, დიდ-  
ხეს გაისმოდა დადადი მთისა. და დიდხეს განაკრი-  
ბურებამ კერძების სიმფონია...

ერთხელ გირეკ საზარდად დაიტება, გაიედვა, და-  
ბერა გრიგალმა, მიჭიდან(ტ)-მოჭიდანტა დრუბელი;

ზღვაშ უკანასკნელად დაიძოხა, ბარმაც შესწუატა  
ტებილი კლიმანჭური, მთამ კვლავ ამთითხრა და გადმო-  
ახორებოთ ნაკადი.

შესწევა სიმფონია...

ზეცა გაღურდეა; მთოვარემ და ვარსკვლავებმა ფე-  
რი დაჭერის, რადგანაც ამთმაჭალმა მწერ უბებე წარმო-  
გზავნა თვისი მიკრიზი და გასისხლისფერა ადმისაფუქ-  
თის მხარე ზეცის.

გაშექდა არ ჟ მარკ.

და იქ, საჭაც ამართულიყო, აზოზილიყო მთა შე-  
დალი, ამაუღ, გორგზად, შედიდურად ცას მიძვენი-  
ლი, და გადმოსტექერთდა პეპლურ საფინანსო გაშლიდს ბარ-  
სა, — ესდა გამოირკვა უზა რ-მაზარი სისკ ადამიანის.

ამაუგ შეძლი მთის ადამიანურ სისისა ჩადრმავებუ-  
ლიერ ხრამებით; თვალთა ადგილებიდან სხექვდა ციფი  
ნაკადი, და ბაგენა მოკუმშელნი მეტავალიდნენ გაემსია  
და სევდას.

მაგრამ უა, უინ გამოიცხა სევდა მთისა, უისი  
თვალნი ჩასწერები მის გუდის და უინ ამთიკითხა სეუ-  
კილი და მისწრაფება მთის გუდის?

ჯერ არავინ!

არ გაქარწედდა სევდა მთისა,  
არ მთისში იპი,  
არ მოსცილდა ნისდი მწერისა,  
არ გაბათილდა ტანჯვა მთისა,  
არ მესწედა დენა ცრუმდთა საკადის ნაადგარისა.  
გვდავ იუთ და არის!

წინათ, როდესაც მაღალი იუთ და ჭადარა მოსილი,  
ზეცას მაინც ეხურებოდა გუდში, — ესდა-კი მიიღო რა  
სატება ადამიანის სისისა, დადაბლდა და დარჩა დადერე-  
მილი თავის პლატერდში ჩამარსულ სევდის იდემადო-  
ნასთან ერთად.

ასეთია სევდა მთისა.

### კონსტან ანდრონი.

სოფ. სასირეფი  
1913—VII.

## მონტეკი და კაპულეტი

ოდესლაც იტალიაში, სადღაც ვერონაში თუ-  
ფლორენციაში სცხოვრობდა ორი ოჯახი გაუთა-  
ვებელის შედლით, დავიდარაბით და ჩხუბით.

მოდგმა მოდგმას მოსდევდა, ერთნი ბერდებო-  
დნენ, მეორენი იზრდებოდნენ, ასე გასინჯეთ მათ  
შორის სიყვარულის ისტორიაც კი იჩენდა ხოლმე  
თავსა, მაგრამ რაღაც იყო საბედისწერო მათ ურთი  
ერთობაში...

დავა არ თავდებოდა

მათ იცნობდა მთელი ქალაქი

სურდათ მათი შერიგება, მაგრამ მონტეკი და  
კაპულეტი, ორი ოჯახი, არ რიგდებოდა.

ამ მონტეკის და კაპულეტის მაგონებენ ქარ-  
თული სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები.

თბილისი ვერონა არ არის, საქათველო — იტა-  
ლია, მაგრამ მონტეკი და კაპულეტი ჩვენი და-  
მახასიათებელი თვისებაა.

განა გ. ერისთავის პიესა „დავა“ მონ-  
ტეკი და კაპულეტი არ არის. გიგანტი მონ-

ტეკი მოსიკური მაგალითი იმავ გ. ერისთავის პიე-  
სა „გაურიდან“ — მუთაქის გაყოფვა — განა იგივე  
მონტეკი და კაპულეტი არ არის?

ჩვენი ოჯახები წარსულში დავამ დალუპა. ერ-  
თი ჩანახისავის სენატამდის მიდიოდნენ. მაგრამ ვინ  
წარმოიდგენდა, რომ ოჯახური ზნე-ჩვეულება ასე  
მრთლად გადავიდოდა დიდ საზოგადოებრივ და პო-  
ლიტიკურ ცხოვრებაში.

აიღეთ ჩვენი პრესა,

აიღეთ ჩვენი დაწესებულებანი,

აიღეთ ჩვენი პარტიები...

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაუ-  
სრულებელი „დავა“ და „გაურა“ არის.

ქურდო!

ჯაშუშო!

პროვოკატორო!

ბურჯუა!

ზუბრო!

რეაქციონერო!

სამშობლოს გამყიდველო!

იუდა!

აი, კომპლიმენტები, რომლებითაც ამკობენ  
ერთმანეთს ჩვენი მონტეკი და კაპულეტები.

არავის არ სურს თავისი უპირატესობა საქმით  
დაამტკიცოს.

აჩვენოს ხალხს თავისი რეალური ძალა, აჩვე-  
ნოს ის ბაწარი, რომლითაც არის გადაბმული იგი  
ხალხთან, მის სულის კვეთებასთან.

იცვამენ კარტონის ჯავშანს, იხურავენ შაქრის  
ქალალდის ჩატბუტსა, ხელში უჭირავთ ბუტაფო-  
რული ხმალი ისტორიულის დრამისა და ერთმანეთს  
„სჩეხავენ“.

„სჩეხავენ“ უწყალოდ, ჰკლივენ უდანოთ, რო-  
გორც ოპერეტაში, სენატამდის მიდიან ერთი ჩანა-  
ხი პურისათვის, აწერინებენ სხვა და სხვა „შეგნე-  
ბულ“ მუშებს და გლეხებს პროტესტებს, — სწორედ  
ისე, როგორც რუსეთის სტრიპჩები უწერდნენ  
ჩვენ მემამულებს არჩებს; უხმობენ მედიატორებს  
და თავისი დავიდარაბა საზოგადოებაში გამოაქვთ.

და საზოგადოებაც ისმენს მათ „წუწუნს“.

მარტო ამას ხედავ, როცა სოციალ-დემოკრა-

რატების და ფედერალისტების პრესის კონტულობ.

ვინ არიან ს. დემოკრატები და ფედერალისტები?

„უძლიერესი“ პარტიანი ჩვენში.

სწორედ ისე, როგორც ვერონაში ყველაზედ პატივული და საუცარელი ოჯახები მონტევი და კაპულეტი იყვნენ.

კაპულეტი რომ მომკვდარიყო, მონტევი მეორე დღეს გარდაიცვლებოდა.

ისე მაქვს წარმოდგენილი ფსიხოლოგია ამ თრი გვარისა.

და ეს ადვილი გასაგებია.

მათ სხვა მიზანი არაფერი ჰქონდათ, გარდა ერთმანეთთან ჩხერისა.

ამიტომ ისინი სცდილობდნენ მუდამ „ეცხოვრათ“ მუდამ სიცოცხლის ნიშან წყალი ჰქონდათ:

— დაანთ ბუხარში ცეცხლი! ეუბნებოდა მოხუცი მონტევი პაპანაქება სიცხეში თავის მოსამსახურებს.

— ცეცხლი? ამ სიცხეში... ჰკვირობდა მსახური.

— დიახ ცეცხლი! დე, იცოდეს კაპულეტიმ, რომ ჩემს ბუხარში კომლი არ გიმოილევა.

მართალია, ამ დიალოგს თქვენ ვერ ნახავთ იმ პიესაში, სადაც მონტევისა და კაპულეტის დავა აქვს გამოხატული შექსპირს, მაგრამ ასეთი დიალოგი ფსიხოლოგიურად ძალიან წააგავს მათ უინიან აზროვნობას.

ასევე სჩადიან ჩვენი ს. დემოკრატები და ფედერალისტები. მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება პაპანაქება მზეა, ჩვენი პოლიტიკური გორიზონტი მუდამ არ იძლევა საბუთს ჩხერისას და დავიდარაბისას, მაგრამ ფედერალისტები და ს. დემოკრატები მაინც პაპანაქება სიცხეში ბუხარს ანთებენ.

რათა?

— იმიტომ რომ მტერმა იცოდეს!

საქართველოში სიჩუმეა. ლაპარაკობენ კონცერაციაზედ, მელიორაციაზედ: სწავლა-განათლებაზედ, კულტურულ ზრდაზედ, ყველა ამისთვის სასკირო ზომიერი ტემპერატურა და ჩვენი მონტევი და კაპულეტები გამოდიან და სწორედ ამ დროს ანთებენ თავიან „ფეჩებს“.

დგება სიცხე, პაპანაქება, ადამიანები იხრჩბიან, ქალებს გული უწუხდებათ და მონტევისა

და კაპულეტის ბუხრებიდან კი „სიცოცხლის ნიშან წყალი“ კომლი ამოდის.

ფარსმან-ფარუხი.

უკრანებული  
გიგანტის გარე

## გავშირში თუ უგავშიროდ?

„სახალხო გაზეთი“-ს 9 ივნისის № 938-ში მოთავსებულია მცირე წერილი „სინამდვილის ფარგლებში“, ჯურიკეთის (გურია) საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულის, ბ. ი. გორდელაძის. წერილი იმდენად საყურადღებო საგანს ეხება, რომ ყოვლად შეუძლებელია მის შესახებ თრიოდე სიტყვა არა ვსთქვათ.

საზოგადოთ, საკრედიტო კოოპერაციის საქმე მთელს საქართველოში ისეთ ცუდ პირობებშია ჩაუკიდებული, მისი მდგომარეობა იმდენად შერყეულ კრიტიკულია, რომ მით თვით საკრედიტო კოოპერაციაზე—როგორც იდეაზე—ხალხი თან და თ. ნ ყალბ შეხედულებას იღებს. საკრედიტო კოოპერაციებს, სასოფლო ბანკებს, ხალხი თან და თან აღმაცერად უყურებს, ბანკის საქმე ხალხს სასხვაო საქმედ მიაჩნია, ბანკს ხალხის საქმე არ აინტერესებს და ამ რიგად ურთ-ერთისადმი ირასასურველ განწყობილება-დამოკიდებულებით ითხრება მათ შორის უფსკრული, რომელშიაც იღუპება ნამდვილად სასარგებლო და სიმპატიური საქმე.

რა არის ამის მიზეზი?

უმცველია, პირველ-ყოვლისა ჩვენი პირადი ხასიათი უნდა იყოს გამტყუნებული, ვიდრე თბიერიული პირობანი. ეს ასეა და ფრიად სასიამოვნოა, რომ ამ სინამდვილეს აღიარებს თვით ერთი წევრი — ხელმძღვანელი სასოფლო ბანკისა. ბ. გორდელაძე ბრძანებს: „საკრედიტო ამხანაგობის „სისუსტის“ მიზეზი ბევრნაირია. ერთი ამ მიზეზთაგანი, თუ გნებავთ, თვით ჩვენ გამგეობის წევრები ვართ, უფრო კი თვით ამხანაგობა“. დიახ, საკრედიტო ამხანაგობის სისუსტის ერთი მიზეზთაგანი, როგორც გამგეობა ისე წევრები არიან, მაგრამ ამ სისუსტის აღიარება კიდევ არა შევლის საქმეს. თუ კი ჩვენ გვრჩამს, რომ ცუდი მდგომარეობა დამყარებულია ჩვენივე მეოხებით, ჩვენი გამოუცდელობით, უციდინარობით, უკულტურობით, ცხადია, ჩვენ ყოველი დონე უნდა ვიღონოთ და მივისწრაფოდეთ შევძინოთ რაც შეიძლება მეტი გამოცდილება, მეტი ცნობანი, რომ კულტურული ძალები შევქმნათ.

შეუძლებელია, არ დამეთანხმოს იმაში პ. ი კონდელაძე. მაგრამ შეუძლებელია იმაშიც არ დამეთანხმოს, რომ მიუხედავად ამ კეშმარიტების აღიარებისა, ჩვენ მაინც არ ვინძრევით, არ ვსაქმიანობთ, რომ ჩვენივე უმეტესი გავთანროთ, საქმე გავაუშვეობესთ. მაგრამ საკითხის ამ მხარეს თავი დავანებოთ.

ვიკითხოთ: რანაირად შეიძლება საკრედიტო კომპერაციის ძალების რამდენადმე დაწინაურება, მათი მუშაობის საზრიანად მოწყობა, სათანადო სისტემაში და ფორმაში ჩამოყალიბება. აუცილებლად სპეციალურ განათლების მოფენით, ცოდნის გავრცელებით, პრაქტიკულის მუშაობით, მაგრამ ერთ ერთ საამდარვო საქმედ აუცილებლად უნდა იქმნას ჩათვლილი საკრედიტო კომპერატივების კავშირი. კავშირი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც კომპერაციის მამობრივ მზრუნველობას გაუწევს, ყოველ მის საჭირო-ბოროტო საკითხებს, მოვლენებს, საქმეებს გულმხურვალედ მოეკიდება და საუკეთესო ფორმების შესაქმნელად თვითეულ კომპერატივს დიდ დახმარებას გაუწევს. დიახ, ეს ასეა, თვით პ. გორდელაძე ამბობს: „ვინ არ იცის, რომ კავშირის დაარსება დიდი საქმეა, მაგრამ... მაგრამ რიღასთვის ყოფილია პ. გორდელაძე და ბევრი მისებრ მთაზრები კავშირის წინააღმდეგი? ერთად ერთი და უმთავრესი არგუმენტი კავშირის სადღეისო მოწინააღმდეგებისა ის არის, რომ საკრედიტო კომპერაციების ხალხი, გამგები, ამხანაგობის წევრნი მოუმზადებელნი, განუვრთარებელნი და სხვა ასეთები არიან. „ჯერ-ჯერობით—პირდაპირ ამბობს პ. გორდელაძე—ისეთმა ამხანავობათ დააარსონ კავშირი, რომელნიც ამისათვის შესაფერად მომზადებულად სცნობენ თავს. ჩვენც ვეცდებით თანდათანობით შეუერთდეთ მათ“.

სწორედ ეს შეხედულება — ერთი შეხედვით ლოდიკური, ყოვლიც მავნებელი და შეუწყნარებელი შეხედულებაა, რომელიც ელემენტალურ კრიტიკის შეხებასაც ვერ უძლებს. შეხედულება, რომელსაც მართლა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია საკრედიტო კომპერატივებისათვის. პირველ ყოვლისა უნდა მოვახსენო პ. გორდელაძეს, რომ კავშირი არსდება იმიტომ, რომ კომპერატივების სუსტ ძალთა კონცენტრაციია მთახდინოს, რათა ძალების მობილისაცით ერთმანეთს დაეხმარნენ. ამიტომ კავშირში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი კომპერატივი, რაც უნდა სუსტი და მოუმზადებელი იყოს იგი კომპერატივი საკავშირო მოღვაწეობისათვის.

თუ იმას ფიქრობთ, რომ კავშირში უმეცარი ხალხი რას გამოდგებო — ეს ვერაფერი. საბუთია, ყოველგვარ სახელმძღვანელო კოლექტივში, კომპერატივი როგორც ყოველი საზოგადოებრივი ერთეული — არჩევს და პგზავნის თავის წრის წარმოშორებული ძალას, ძალას ყველაზე უფრო ღირსეულს და გავლენიანს. თუ ეს ფრატრიც არ შველის საქმეს, იმ შემთხვევაში საქმისათვის სრულიად საზიანო არაა, რომ ეს ნაკლებად ვანვითარებული ძალა მოხვდეს კავშირში, რადგან კავშირს ყოველთვის მეტ ხელმძღვანელობას უწევს კავშირში მოქცეულ წევრთა საუკეთესო ძალები. ეს ძალები პქმნიან კავშირის ცხოვრებას, სჯიან კომპერატივების საქმეებს, ხელმძღვანელობებს და თვალყურს აღევნებენ მთელ კომპერაციის საქმეს და ასეთ კოლექტივში მოხვედრილი თუნდ სუსტი ძალა არას წააგებს, გარდა გონებრივ პორიზონტის გაშლია, დაწინაურებისა, გაჩალხვისა.

აბსულიუტურ სიძლიერეს ჩვენ ძნელიად მივალწევთ. ან ვინ იქნება ამ ძლიერების გამზომელი. საზოგადოების ყოველ წევრში მუდმივ იარსებებს გონებრივ ძალთა სხვა და სხვაობა და თუ ჩვენ ყოველთვის მხოლოდ მოწინავეებს გადავადებთ საქმეებს, ხვალ ჩვენ დავწინაურდებით და მათ ჩავერევითო, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვერასოდეს საქმეს ვერ გავაკეთებო. ჩვენ არ ებული ძალებითვე უნდა ვცდილობდეთ ყოველგან და ყველაფერში საქმის მოგვარებას და შემწეობას და თუ ჩვენს შორის უკეთები გამოჩნდებიან, ეგ უკეთესი.

გორდელაძის შეხედულებით, საკანონმდებლო დაწესებულებაში მხოლოდ ისეთს ხალხს უნდა ჰქონდეს ალაკი, რომელთაც შეუძლიათ თავისი რამ შეიტანონ კანონის შექმნის საქმეში. ვინ არ იცის რომ მაშინ „დუმა“-ში  $\frac{2}{3}$ , რუსეთი არც კი მოხვდებოდა და მერე საჭირო ეს იქნებოდა? რაც უნდა იყოს, ეს  $\frac{2}{3}$ , ნაკლებად განვითარებული ძალებისა, როგორც თვითონ იჩალხებიან, ისე ხალხოსნურ მოტივებს მაინც ამეცებენ შიგა და სწორედ ამ მხრივაა ეს მონაწილეობა დიდმიშვნელოვანი.

ესევე შეგვიძლია ვსთქვათ საკრედიტო პორტაციების კავშირზე და მათში ჩვენს მონაწილეობაზე.

თ. ლლონტი.

## კონპერაცია გერმანიაში

ამა წლის გაზაფხულზე დრესდენში იდღესას წაულეს 10 წლის იუბილეი გერმანულ მომხმარე-რებელ საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირისა“. ეს იუბილეი ფრიად საყურადღებო და საინტერე-სოა იმისათვის, ვინც თვალყურს ადევნებს ხალხურ კულტურას. იუბილეი წარმოადგენდა კრეპის ათა-სობით შეკრებულ წარმომადგენელებისა და აწმუ-ნებულთა მუშათა კონპერატიულ ორგანიზაციები-სას გერმანიაში, რომელნიც შედიან ამ „ცენტრა-ლურ კავშირში“. უკანასკნელი კავშირი, რომლის რეზიდენცია ჰაშტურგში არის, გახდა ნამდვილი იდეური ხელმძღვანელი მომხმარებელ კონპერაციი-სა საზოგადოთ. მან შეიტანა კონპერაციაში ახალი საზოგადო იდეები, დაუყენა წინ ფართო სოცია-ლური პერსპექტივები, გადააბა საერთო სოციალ-რეფორმატორულ მისწრაფებათ გერმანის მუშათა მოწინავე ელემენტებისას.

ამაშია უდიდესი ღვაწლი დასახელებულ დაწე-სებულებისა. მან გაამაგრა გერმანელ მუშებში ის აზრი, რომ საჭიროა, არა მარტო პოლიტიკური კავშირები მუშათა პარტიაში, არა მარტო მონაწი-ლეობა წარმოებაში – პროფესიონალურ კავშირის სახით, არამედ მომხმარებელი კავშირებიც. მომხმა-რებელი საზოგადოებანიც.

ათი-თხუთმეტი წლის წინად ბევრი ცნობილი ბელადი გერმანელ მუშათა მოძრაობისა ასამაცერად უყურებდა კონპერაციის და ხანდახან მავნეთაც მიაჩნდათ, ვითომ როგორც დამამურებელი „სა-ბოლოო მიზნის“ ოცნებისა.

მაგრამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ეს აზრები შეიცვალნენ ძირიანად. შესცვალა იგი თვით ცხოვრებამ და საოცარშა ზრდა-ვანვითარებამ კონპერატიულ საქმისა თვით გერმანელ პროლე-ტარიატის წრეებში.

შარშან „ცენტრალურმა კავშირმა“ გამართა დიდი გამოფენა. ვეებერთელი დარბაზები სავსე იყო ბევრ-სართულიან სახლების, სარდაფების, მე-ქანიკურ ფურნების, საკალბასეების მოდელებით, ფაბრიკებისა და ქარხნებისა; ამართული იყო დიდი

პირამიდები იმ საქონლისა, რომელიც თვითონ და-ემუშავებინათ კონპერატივების წევრებს. ერთს სიტყვით, ეს კონპერატივები აჩვენებდანენ ქვეყანას, თუ რას მიაღწია მათმა „კავშირმა“<sup>1</sup> წევრების წარ-მოდგენილნი კონპერატივები დიდი და პატარა ქა-ლაქებისა, ყველაფერს ტეხნიკის „უკანასკნელი სიტყვის“ ბეჭედი ესვა და მაჩვენებელი იყო განვი-თარებულ ვაჭრობა-მრეწველობის ცხოვრებისა.

კავშირში იყო 1,155 საზოგადოება, რომელ-თაც პყავდათ 1,483,811 წევრი. ამათ ჰქონიათ 4,411 დუქანი და მილაზია, რომელთაც გაუყიდნი-ათ ერთი წლის განმავლობაში 423.000,000 მარ-კის საქონელი; აქედან 84,000,000 მარკისა დამ-ზადებული ყოფილი თვით კონპერატივების ფაბრი-კა-ქარხნებში. კონპერატივებს აქვთ 200.000,000 თანხა და შეგა მუშაობს 26,000 მუშა.

ამ გვარი დაწესებულებანი ეხლა უდიდეს სო-ციალურ მოვლენად ითვლებიან და ისეთ გამოჩენილ ეკონომისტების ყურადღებას იქცევენ, როგორც არიან ვაგნერი, ზომბარტი, შტაუდინგერი და სხ. და უფრო მეტად მოქმედობს ასეთი განვითარება კონპერაციისა მუშების გონიერებასა და ფსიქიკურედ. მათი წრიდან გამოდიან ასობით ხალხი, რომელნიც განაგებენ და უვლიან დიდ საწარმოვო და სამ-რეწველო საქმეებს, რომელნიც კერძო პირთ კი არ მართვენიან, არამედ შეაღგენენ კოლექტიურ საკუთ-რებას შეერთებულ მომხმარებელთა. და ამგვარიად იქმნება სრულიად რეალური წარმოდგენა იმ გზები-სა, რომლითაც უნდა იაროს მუშათა კლასმა თა-ნამედროვე დამოკიდებულებათა სოციალურ-ეკონო-მიურ ცვლილებისაკენ.

მუშები გრძნობენ, რომ ისინი კერძო, თავის საქმესთან ერთად ჰქმნიან საერთო საფუძველს მო-მავალ საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის და აქ იბა-დება ახალი სოციალურ მსოფლ-მხედველობა.

ლ. დ.

# საკრედიტო კოოპერაცია და

მათი სამუამავლო მოქმედება



უკანასკნელ დროს, ჩვენი ქვეყნის თოთქმის უკელა მხარეს ერთად, დაიბადა საკითხი იმის შესახებ, რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებანი სოფელმა გამოიყენოს აგრეთვე, როგორც საშუალებო ორგანო, იმ საწარმოვო იარაღების, მანქანების ან მასალის შესაძენად, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგსა სჭირდება. ეს აზრი ბუნებრივი დაებადათ უკელას, რადგან თავიდანვე დაეტყო საკრედიტო საქმეს, რომ ფულის გაცემა მარტო იქ შეიძლება და ისეთ პირებზედ, საცა და ვინც აღებულ სესხს მოახმარებს საკუთარ მეურნეობის ისეთს გაუმჯობესებას, რომ თანხის დაბრუნებასაც და სარგებლის გადახდასაც შეიძლებს. ასეთს მდგომარეობას კი პირდაპირ იმ დასკვნამდე მიჰყავდა ყოველი შევნებული გამგე, რომ გაუმჯობესების საშუალებანი თვით გლეხვაც არ მოეპოვება და რომ უნდოდეს კიდეც, გულითაც რომ მოწადინებული იყოს აღებული ვალი მოგებიანად გამოიყენოს—ბევრჯელ ცოდნაც და უმეტეს შემთხვევაში შეძლებაც არა აქვს. ამიტომ, ერთის მხრით თვით საკრედიტო დაწესებულება ვარდება სახიფათო მდგომარეობაში, რადგან იძულებულია ფული ისეთებზედ გასცეს, რომელნიც ძნელად დააბრუნებენ და მეორეს მხრით, თვით მსესხებელი ვერ იყენებს რიგიანად აღებულ თანხას და ტყუილად ვალში იფლობა. ეს ნაკლი საკრედიტო დაწესებულებისა უკელგან შესამჩნევად მავნეა და ამიტომ არ თანაუგრძნობთ იმ სწრაფ გამრავლებას წვრილი კრედიტს დაწესებულებათა, რომელმაც, შეიძლება, უფრო მეტი ზიანი მოუტანოს ჩვენს სოფელს, ვიდრე შევახშეებმა. კრედიტსაც თავისი კანონები აქვს, და ვინც მთ გადალიავს, შეიძლება სასტიკად დაისაჯოს. ამიტომ, შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, ნამეტნავად ისინი, ვინც სათავეში უდგანან სოფლის საკრედიტოებს, მეტის სიფრთხილით უნდა გასცემდნენ თანხას და იმავე დროს ზრუნავდნენ კრედიტის აღებ-მიცემობის პირობანი შესცვალონ და გააუმჯობესონ.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, თოთქმის უკელგან ბუნებრივი კიდეც დაიბადა ეს აზრი და ის

მიმართულება მიიღო, რომ საკრედიტო დაწესებულებაში საშუალებო ოპერატორიც იყისროს.

კახეთში, მაგ., თოთქმის უკელგან ერთნაირად სწყდება ეს საკითხი, რადგან რაიონი უფრო ერთფეროვანია მეურნეობის მხრივ და უკელგან მელვინეობას მისდევენ. მეღვინეობა კი თხოულოს ეხლანდელ დროში ვაზის მოვლის და წამლობის, რასაც აუარებელი მართული, შაბიამანი, გოგირდი და სხ. პირდება. ამ მოთხოვნილებას აქმდის აქმაყოფილება ჩარჩი, კერძო პირი და მოგებისათვის არაფერს ერიდებოდა. დღეს იბადება აზრი საზოგადოებათ იყისრონ შეძენა უკელა საჭირო მასალისა და შემდევ გაყიდონ, ან სესხის სახით მისცენ მომხმარებელთ. ესეა იმპერატორი, გაამაგრებენ თვით საკრედიტო დაწესებულებათა ნიადაგსაც და სოფელსაც დიდ სამსახურს გაუწივენ კარგი და იაფი საქონლის მიწოდებით. რასაცირველია, უმჯობესი იქნებოდა რამდენიმე სოფლის ან მთელი რაიონის საკრედიტონი შეერთებულყვნენ ამ მიზნით და საერთო საწყობი მოეწყოთ, მაგრამ საცავს არ მოხერხდება, იქ ჩაინც არ უნდა ურკყონ შუამავლობა, თუ სურთ საქმის კეთილიად წარმართვა.

ქართლში მეურნეობა უფრო სხვა და სხვა გვარია: ხვნა-თესვა, მერძეობა, მეხილეობა და სხ. აქ უფრო ძნელია სარაიონო საერთო საწყობების გამართვა, რადგან სულ სხვა და სხვა იარიღები და მასალებია საჭირო, რაც საქმეს ართულებს და აძნელებს, მაგრამ მაინც სასურველია და უკელა ლონე უნდა მოხმარდეს იმას, რომ საკრედიტო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს თავის ფარგლებში რომელიმე დარგის გაუმჯობესებას, როგორც კრედიტით ისე სასარგებლო იარიღების და მასალების მიწოდებით. აი მაგ., როგორც სოფ. დიდ ლიდოში საკრედიტო დაწესებულება იძლევს სესხად ფულს უმეტეს ნაწილად იმას, ვინც ძროხას შეიძენს და ამგვარად იქვე არსებულ კომპეტიციებს მერძეობისას ხელსაც შეაშველებს და თვითონაც მოგებასა ნახავს. აგრეთვე ლილოს საკრედიტო აწვდის სოფელს ხელოვნურ საჭმელსაც ძროხებისათვის, რაც აუკეთესებს და ადიდებს რძის რაოდენობის. ასეთის ბრუნვით კრედიტისა (ფული გაიცემა ძროზის შე-

საძნად, ძროხა აფართოვებს კომპერატივის მოქმედებას, კომპერატივი დიდი სარგებლით აბრუნებს დახარჯულ თანხას და მისი წევრნი უფრო აღვილად იხდიან საკრედიტოს ვალსაც და თვისთვისაც მოგება რჩებათ) იყრება მკვიდრი საფუძველი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების და შემდეგ ივითავის საკუთარ ფეხითაც შესძლებს სიარულს.

ამატომ. უკელა ჩვენს თანამგრძნობს და ხალხის ნამდვილ მოამგებს, მოსურნეს ჩვენი მეურნეობის აღორძინებისას, ვურჩევთ დიდი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და შეეცადნენ უკელვან პარალელურად აწირმოვონ ხაჭე, როგორც საკრედიტო დაწესებულებისა, ისე საშუალებლო ოპერაციებისა.

#### კომპერატორი.

## პ რ ე ს

„სახალხო გაზეთს“, მოჰყავს სინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ნიხრს იღებს საგუბერნიო საკრებულო იმ სანოვაგებს, რომელიც სჭირდებათ საერობო დარაჯებს:

მაგალითად, კორის მაზრის ქოთის რაოთნები ასეთი ნიხრია დაწესებული:

ქოთი ფუთი ქერი . . .	50 პ.
თივა ქოთი ფუთი . . .	15 პ.
შერი . . . . .	3 პ.
ქათაში . . . . .	30 პ.
გვერტი . . . . .	1 პ.
ხორცი . . . . .	7 პ.

არ ვიცით, როთ ხედმილებანედობდა, რანაცნა ცნობები ჰქონდა ხედში, როდეს ც ამხარი ნიხრი აწესებდა, დასხენს გაზეთი, მაგრამ ჩვენ კი კატეგორიულად შეგვიძლიან დავნიშნოთ, რომ ეს ფასები ნახევარია სახოვავის სამდგრადი საფასურია, იმ საფასურია, რამდენადაც თვითონ გდები ფადგრობს. ფუთი ქერი, მაგალითად დირს არა 50 პ., არამედ 80 პ., ფუთი თავა დირს არა 15 პ., არამედ 40 პ., ქოთი შერი დირს არა 3., არამედ 5 პ., ქათაში ვერსად იშოვით 60 პ., ნაკლებ, ხორციც დირს არა 7 პ., არამედ 12—13 პ. გარგანქა. ჩვენ ვიდებთ მინიმუმს საფასურიასა. თქმა არ უნდა, საერთო დარაჯებისთვის სოფლის ადმინისტრაცია დამტკიცებულ ნიხრის გვადობაზე იღებს სანოვაგებს და დანარჩენ საფასურის კი სა-

სოფლიდა ჰქონდებან — ამ რიგად, სოფელი ურთკვარ ზედმეტ გადასახიდს იხდის საკრებულო დარაჯების შესახად. თუ ასეთი ზედმეტი გადასახადის დადება საგუბერნიო საკრებულოს დაწესებული შედათდა, მაშინ არაფერი გუშტურის, მუშად მარტინი მას სერდა ჩიტის დაწესებით, საჩივავები ფედის ექვივალენტი მაჟრა, მაშინ დიდად მოტევებულია. ზემთადნიშნელ ჩიტის მისედვათ თუ გაუსწორდნენ გამუდგენებს, მაშინ მხადავდ საფასურის ნახევარის შიტებები, უ. ა. ცოტი სხვანაორად რომ გამოვსიქათ ჩვენი აზრი, გამოვა, რომ, თუ ამ თუ იმ სოფელში, გრიქვათ, მაშინ საფასური დარაჯის ჩაუნიშებული, სამს მათვანის ჩაზიანი აჩახვეს და სიმს — სოფელი.

ს. ჭიროდ შაგვანია ამ კარემოვის ადნიშვნა, რადგანაც თუმცად უკად იურ კამოტხადებული, რომ საერთო დარაჯების სოფელში თათოს უნდა შეინახონ თავისი თავი და საჩივავები ხელი ფულიც აძლითნო.

არ ვიცით, გულუბრყვილობით მოსდის, თუ განგებ, რომ „სახ. გაზეთმა“ არ იცის რით ხელმძღვანელობდა საგუბერნიო საკრებულო.

## ბალკანეთის ომი

შეორე ბალკანეთის ომი სოციოლოგიურის თვალსაზრისით გაცილებით სინტერესო და მნიშვნელოვანი გამოდგა პირველზედ. პირველი ომი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ჩვეულებრივი იმ მხრივ, რომ ისტორიაში მრავლად იცის ისეთი მოვლენა, როცა პატარა ერები იარაღში სხდებოდნენ და თვითსუფლების და სამსონოების გასაფართოვებლიდ იბრძოდნენ. ბულგარეთი, სერბია, საბერძნეთი, ჩერნოგორია, ახლიად შექმნილი აღმანია და პროექტში მყოფი მაკედონია ზოგადი ტიპები არიან ერთის მხრივ პატარა სახელმწიფოთა, რომელთაც მუდამ სურთ ზრდა და გაფართოვება, მეორეს მხრივ უსახელმწიფო ეროვნებათა, რომელიც მუდამ ისტორიან ამ სახელმწიფოთა შექმნისკენ. მიზანი მათის მოქმედებისა ყველასთვის ცალი და ნათელი იყო. პირველებს — ბულგარეთს, სერბიას, საბერძნეთს და ჩერნოგორიას სურდათ სახლვრების გაფართოვება, ესე იგი შემოერთება იმ პრო-

\*) რატომ? რედ. „კლდე“

ინციათა, ურომლისოდ მათი ეტნოგრაფიული მოღიანობა მიზანს უკა იყო მიღწეული; ჩეორეებს — ალბანიას და მაკედონიას ხელახლად შექმნა თავის აწყოსი სახელმწიფო ორკანიზაციის სახით. ეს მიზანი თითქმის მიღწეულ იქმნა. ოსმალეთმა დასკალი ბალკანეთი და გაფართოვდა არა თუ სამხლეოები ამ პატარა სახელმწიფოთა, არამედ ომმა და სისხლის ღვრის წარმოშვა ახალი სახელმწიფო ორგანიზმი — ალბანია. თანამედროვე დიპლომატიის თვალსაზრისით, რომელიც ყველაზედ ნაკლებ სოციოლოგიურ პრინციპებს უწევს ანგარიშსა, საჭმე ამით უნდა გათავებულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბალკანეთზედ იხალი ომი დაიწყო, უფრო სასტიკი თვის იმჩებით და უფრო საინტერესო თვის შედევებით. კამათი იმის შესახებ, რომ მეორე ომი საერთაშორისო გართულებას გამოიწვევს, უადვილოა. თუ პირველმა ბალკანეთის ომმა, რომელმაც პირველმა შესძლო ბალკანეთის Status quo-ს დარღვევა — არ გამოიწვია საერთაშორისო გართულება; რადგანაც სწორედ ეს Status quo შეეხებოდა ევროპის ფინანსურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ყველაზედ ნაკლებ ეხლა უნდა მოველოდეთ ამ გართულებას. დაპლომატებს ყველაფრის თქმა შეუძლიანთ, მაგრამ ნამდვილი ბალკანეთზედ ევროპის ინტერესები აღარ არსებობენ. ბალკანეთზედ ვაიღვით სუკუთარმა ძალამ, რომელიც თითონ არის პატრიონი ამ ინტერესებისა. ამიტომ ეხლა, როცა ომი სამზღვრების შესახებ სწავლოებს, ინგლისისთვის, ან გერმანიისთვის სულ ერთი უნდა იყოს, სად გავიღის დემარკაციული ხაზი სერბებსა და ბულგარებს შორის, ბულგარებს და ოსმალებს შორის, საბერნეთსა და ალბანელებს შორის. ამ საკითხში ევროპის ინტერესები აღარ არსებობენ მაგრამ რამდენად იკლეს ევროპის ინტერესებმა, იმდენად იმარტეს თვით ბალკანეთის სახელმწიფოთა ინტერესებმა და ამ მხრივ მეორე ბალკანეთის ომი ნამდვილ ბალკანეთის ობად იქცა.

სად არის მიზეზი ამ მეორე ომისა? ვინ არის დამნაშავე, ვინ არის შებუკე, რომელმაც პირველმა ასტერა განვაში? ძნელია ვისმეს დაადო ხელი. სკლებიან ისინი, ვინც მასებად ბულგარეთის მინისტრთა ბრმა პოლიტიკას ასახელებენ. უფრო ნაკლებია დანაშაული ავსტრიის დიპლომატიის მიუძლვის. სერბებიც ისევე არიან დამნაშავენი, როგორც ბულგარელები, ბოლო, რაც შეეხება რუს სლავიანოფლების ხავედურს, რომ ბალკანეთის სლავიანებმა სლავიანური იდეა სისხლში ამოაღრჩევსო — ყველა-

ზედ ნაკლებ ამაში გამოავეივის საღი შეხედულობა და უნარი მდგომარეობის შეფასებისა. სლავიანთი იდეა, თუ კი არსებობს ასეთი რამ შესაბამისი არ არის, სლავიან ერთა გარეშე არც უნდა არსებოდეს. და ფრიად სასაცილო იქმნებოდა ბალკანეთის სლავიან სახელმწიფოთა თავიანთი ლვიძლი ინტერესი რიღაც განყენებულ იდეისთვის შეეწირათ და უარი ეთქვათ ომზედ, თუ კინდ, ერთმანეთთან, როცა ამ ომს შექმნილი მდგომარეობა ბრძანების კილოთი მოითხოვდა. თანამედროვე ერები ყველაზედ ნაკლებ რასსიულ პოლიტიკის მისდევენ. განა არსებობს ტომობრივი კავშირი, სოფიტარობა? საფრანგეთი და იტალია ერთი ჩამომავლის ხალხნი არიან, მაგრამ სხვა და სხვა კავშირში შედიან. ინგლისი თვის ჩამომავლობით კულტურით და კივილიზაციით გერმანიისთან უფრო ახლოა, მაგრამ რუსეთთან შეთანხმებას არჩევს, სწორედ ამ მონათესავე გერმანიის წინააღმდევ. ერთის სიტყვით თანამედროვე ერთა და სახელმწიფოთა დაყოფაზედ რასსიული ერთგვარობა ყველაზედ ნაკლებ მოქმედობს. თვით პოლიტიკური წესწყობილებაც კი უძლურია ერთი ტიპის სახელმწიფოთი შეაერთოს. რუსეთი და საფრანგეთი ამის ბრწყინვალე მაგალითია. თანამედროვე სახელმწიფოებს მხოლოდ საკუთარი ინტერესი აკავშირებს მეორე სახელმწიფოსთან და ეს იმიტომ, რომ არსებობს მარტოოდენ ეროვნული პოლიტიკა და არა რასსიული. და თუ ეს ასეა, იბადება საკითხი, შეეძლოთ განა ბულგარელებს და სერბებს იარაღი დაეყარათ მარტო იმ მოსაზრებით, რომ ისინი სლავიანები არიან და არ ებრძოლათ, როცა ამ ბრძოლის მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვდნენ.

ეს საკამათო საგანი არ არის. უფრო როტული მეორე საკითხია. არსებობდა თუ არა კეშმარიტი მიზეზი, რომელსაც აუცილებლად ომი უნდა მიჰყოლოდა. აი, საკითხი და ყველა ვინც კი თვალურს ადვანცებდა ბალკანეთის მეორე ომს, აუცილებლად იტყვის, რომ ასეთი მიზეზი არსებობდა. არას ვიტყვით რუსინიას და საბერძნეთზედ, რომლებიც არც პოლიტიკურად, არც რასსიული დაინტერესებულნი არ არიან ემსახურონ სრულიად სლავიანთა იდეას. თვით სერბებს და ბულგარებს, სლავიანთა ამ ლვიძლიშვილებს, გაუჩნდათ ომის მიზეზი. მიზეზი ამ ომისა გამონასკულია იმ უცნაურ ეტნოგრაფიულ ფოკუსში, რომელსაც მაკედონია ეწოდება. რას წარმოადგენს თანამედროვე მაკედონია ეტნოგრაფიულად? იმის თქმა, რომ მაკედონიაში მაკე-

დონელები სცხოვრობენ — იგივე იქმნებოდა რომ გვეთქვა: კავკასიაში კავკასიელები სცხოვრობენ. ასეთი განმარტება არავის დააკმაყოფილებდა. ზართალია იყო დრო როკა მაკედონელებს სურდათ შეექმნათ მაკედონთა ეროვნება, მაგრამ ამ ცდამ იმამდ ჩაიარა. უკანასკნელმა ომის ამბებმა აშვარიდ დაგვანახვეს ვინ იყვენენ ნამდვილი მცხოვრები მაკედონისა. ესენი გამოდგნენ იგივე ბულგარელები, სერბები, ბერძნები, ოსმალები და კუცოვალახები, რომელთა მეტროპოლიტი გარს ჰქონდა შემორტყმული მაკედონიას. მაგრამ ეს სრულიად არ ხატავს მაკედონის ნამდვილ მდგომარეობას. მაკედონია ნამდვილი ბაბილონის გოდოლი იყო. აქ იყო ყველა, მაგრამ არც ერთ ეროვნების თავისი იქრი წმინდათ არ ჰქონდა შენახული. გაბულგარებული სერბი, გასერბებული ბერძენი, გაოსმალებული ბერძენი და გაბერძნებული სერბი ან ბულგარელი — ი ნამდვილი სურათი მაკედონიისა. და როკა მოკავშირეებმა ხელთ ევდეს მაკედონია-პრეველი კითხვა რომელიც მათ დაეგბადათ იყო ვის უნდა ერგოს მაკედონია? და რადგანაც საკითხის საერთოდ გადაწყვეტა ძნელი გამოდგა, მოკავშირენი სათითაოდ შეუდგნენ მის გადაწყვეტას. ჩვენ უკვე ვიკით რა ორიგინალური და ევროპისთვის უწვეულო რამ იყო ეს გადაწყვეტა საკითხისა. ვიდრე ბულგარელები იყვნენ მაკედონიაში ელეტლნენ ყველას მათ, ვინც ბულგარელი არ იყო, არ ინდობდნენ თვით სლავიან-სერბებსაც. მათი ადგილი მერე ბერძნებმა დაიკარეს და, რაც რამ ბულგარეთის და ოსმალს ნასახი იყო, ცეცხლისა და მახვილს მისცეს და ეხლა, როკა ოსმალობ ხელახლად დაიჭირა ფრაკია, ბულგარელებს და ბერძნებს იგივე დღე გაუთენა. ერთის სიტყვით ვინც კი გაიარა მაკედონიაშედ ყველამ თავისი ულტრანაციონალისტური დროშა ააფრიალა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ბალკანეთის ომი თანამედროვე ევროპიული ომია. თავის მიხეხებით და მომხდარ ფაქტებით იგი უფრო პირველ ყოფილ ომსა ჰგავს, როკა ერთი ტომი მეორეს ესხმოდა და როკა ბრძოლა ხდებოდა არა მარტო ტერიტორიის დასაპყრობად, არამედ სხვა რასსის, სხვა ტომის და სხვა ერის სრულ მოსასპობად. და ბალკანეთის ომი თავისებურობაც, რომელიც მას სხვა იერს აძლევს, სწორედ ეს არის. ეს არის ნამდვილი ომი ერთა შორის და არა მარტო ჯარებ შორის. უცნაურია ასეთი ომი თანამედროვე ევროპისთვის, იგი ანარონიზმია, მაგრამ სამაგიეროდ ეს არის ომი გამოწვეული არა დიპლომატი-

ურ მიწერ-მოწერით, არამედ როგორ სოციალურ მიხედვით, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ეტნიურ მრთლიანობის და ერთგვარობის სუბსტრუქტურის უკირავს.

ამ ოშმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ თანამედროვე სახელმწიფო ეროვნულ ერთფეროვნობისკენ მიიწროფვის. მას სხვას ეროვნული სიკრელე და ამ სიკრელეს ან სრულიად ფესვებიანად სპობს, ან შ. ს. მოსპობას ასიმილიაციით სცდილობს. ეს ორივე სისტემა უკვე სცადეს ბალკანელებმა. ომამდე ბალკანეთზედ სახალხო სკოლები ის დაწესებულებანი იყენენ, რომლის წყალობით სერბები ბულგარელებს ასერბებდნენ და ბულგარლები უკანასკნელებს, ამას სავე სხადიოდნენ ბერძნები ბულგ შესახებ და ამასავე სხადიოდნენ ყველას მიმართ თამალები. მაგრამ ეს იყო მშვიდობიანობის ხანაში და მიზანსაც შედამვერ აღწევდნენ. ეს ერები ერთმანეთს ჯიბრში უდგნენ და სახოვალოთ მათ ხელში კიდევ იყო კულტურული საშუალება ასიმილიაციის წინააღმდეგ ბრძოლისა. მაგრამ როკა ბრძოლის იარაღი შეიცვალა, როკა მასწავლებლის და მღვდლის ადგილი სალდაომა დაიჭირა — ბალკანელებმა მიმართეს იმ საშუალებას, რომელიც უფრო რადიკალურიად სწყვეტდა საკითხს. ეს იყო ძველი, ნაცადი საშუალება, მართალია პრიმიტიული, მაგრამ როგორც ზევითაც ვსოდებოთ საკითხის უფრო ზედ-მიწევნით გადამწყვეტი, და რიგ-რიგად, იშის და მიხედვით თუ ვინ იყო ბატონი მდგომარეობისა — არა სასურველი ელემენტი ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლი ხდებოდა.

უშველის თუ არა ასეთი გადაწყვეტა საკითხ სა საქმეს, შექმნის თუ არა ასეთი ზომა ბალკანეთზედ წმინდა ეროვნულ სახელმწიფოებს — ეს ძნელი გამოსაცნობია. მაგრამ რაც მოხდა უკვე, ისიც საკმარისია, რომ თანამედროვე სოციოლოგია, როგორც მეცნიერებამ, ბევრი საყურადღებო დასკვნა გამოიყვანოს. თანამედროვე ევროპა არც ისე უგულოა, რომ სოციოლოგიურ ექსპერიმენტისთვის კიდევ განაგრძოს ეს ომი. ადამიანის სიცოცხლე გაცილებით ძვირფასია სხვა და სხვა კანონზედ და პრინციპზედ და ევროპა არ მოისურვებს დაუსრულებელ სისხლის ღვრას მარტოდენ მიტომ, რომ ერთხელ და საშუალოდ დადგენილ იქმნას, რომ რაც უფრო ერთფეროვანია რასსიულად ერის შემადგენელობა, მით უფრო უზრუნველ ყოფილია მისი პროვენესი. მაგრამ არავის არა სურს იფიქროს იმის შესახებ, თუ რა იქ-

მნებოდა თანამედროვე საფრანგეთი, მის ორგანიზაციის რომ სხვა და სხვა ერთა ელემენტები ერთოს. ნამდვილად კი ეს არის სწორედ ის საკითხი, რომელიც წარმოშობს ხოლო ბალყანებისთანა არს.

ა—ი.

## მოწერილი ამბები

სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა) უკელა სოფელს თითო რამ მაინც ეშველა და ახალქალაქი კი ისევ ისეა უწმინდურობაში და უკულტურობაში ჩაფლული. როგორც უკველოვის. გორის მაზრაში ეს სოფელი ერთი უდიდესთაგანია, მთელ ცალკე საბოქაულოს წარმოადგენს და ისეთი „ხელშეუხებელი“ უკველგვარ კულტურისაგან სოფელი არა ნახული. ჭურები ისეთი ჭურები და მყრალი, რომ კაცის არ გაევლება; თითონ ბაზარი, საკა მთელი გარშემო სოფლები ვაკრობენ, ისეთი სიბინძურით ინახება რომ გულსა რევს ადამიანს. ზაფხულობით ბევრი ხალხი აწყდება სააგარაკოდ და იმდენი შეკნება არა აქვს არც იქაურ გლეხობის, არც მრავალ მოვაჭრე ხალხს, რომ ზაფხულისათვის მაინც ეცადნენ რასმე, თუ საზოგადო საქმისათვის არა, საკუთარ ჯიბისათვის მაინც არც ხეირიანი პური, არც როდისმე ხორცი, ან სხვა რამ სანოვაგე იშოვება. უკველ წლივ ახალქალაქში მოდის მიწის მხომელთა სკოლი და ესეც კი ვერაფერსა ხდება, რომ ხამაო იყოს უკელაფერი.

ახალქალაქი მდიდარია წყლით, თეძამი და მისგან წაყვანილი რუები 20 ვერსზედ რწყავენ გარშემო სოფლებს, მაგრამ იგივ თეძამი და მისი ხევები თითქმის ინადგურებენ სოფელს და საშველი არა აქვს რა; ხან სახლს დაანგრევს წყალი, ხან ვენახს გააოხრებს ან მოიტაცებს, ხან საქონელს გააფუჭებს. ხილი რა არის, ხეირიანი გზა შიგ სოფელში — ისიც კი არ მოიძებნება. ერთ დროს თითქო ფარნებიც კი დადგეს გასანათებლად, მაგრამ დღესაც უკუნეთია დამდამობით, როგორც ნოეს დროსა.

როგორც სოფლელები ისე აღმინისტრაცია უკურადღებოთ სტოვებენ უკელა ამას და ათასჯერ აღძრული ლაპარაკი ცარიელა ლაპარაკადა რჩება.

არ მიუხედნა ახალქალაქისათვის არც რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფსა; არც სამეურნეო საზოგადოებსა, თუმცა ეს სოფელი დიდი და ვარგს მენილების რაოთხს წარმოადგენს.

უკელაზე მეტს კი ზარალობს სოფელის უკელა და თეძმისაგან, რომელთაც უკველგაზაფხულზედ აუირებელი ვნება მოაქვთ.

მაგრამ უკელა ეს სასიამოვნო მოვლენა იფარება იმით, რომ ახალქალაქი „ახალი კლუბი“ იქვს და მრავლად მყოფი იმ სოფელში ბრწყინვალე თავადიშვილობა, ინტელიგენცია (ორი სკოლაა — სომხური და ქართული) და სხ. შიგ ირთობს თავსა ლოტოთი და ქალალდის თამაშით. კლუბს სათავეში სდგომია ექიმი, ბებია ქალი და მისი მეულლე-ექიმი ხომ ისე გაუტაცნია კლუბის „იდეას“ (სწორედ როგორც თბილისშია), რომ პაციენტებისათვის აღარა სცხელა და უკელას უკმეხად ისტუმრებს თურმე, საიქიოს თუ არა, შინისაკენ მაინც. როგორც კურიოზი მიამბეს, რომ ბალკონიდან დურბინდით შეხედავს ხოლმე ხანდახან ავადმყოფს, გასინჯვის მაგიერ და რეცეპტს ისე დაუწერსო. აი რა განათლების ხანას შეესწრო ახალქალაქი და უკელა იმედია მომავალშიც ისე იქნება, რაღაც ბევრად უფრო სასიამოვნოა კლუბის ფარნებთან ლოტოს გროშების თველა, ვიდრე სოფლის სანიტარულ მდგომარეობისა და ავადმყოფების თვალყურის დეკნება.

**გზად გამვლელი.**

დილომი (თბ. მაზრა) დილმის საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც სათავეში მღ. სონდულაშვილი უდგას, როგორც უკელა სხვა სოფლისა, ისეთ მდგომარეობაშია, რომ სოფლელი ერიდება და შესანახი ფული იქ არ შეაქვს. აქაც იმ შიზეზებმა იჩინეს თავი, რაც სხვაგან: სოფლელს ეშინია, ვაი თუ თვითონ ბანქმა ვერ შეინახოსო; ეშინია იმისაც, რომ გაუგებენ ფული — პქონიათ და სესხით თუ მტაცებლობით აღარ მოუსვენებენ; და ხანდახან კიდევ იგი არჩევს კერძოდ გაასესხოს და თუმანზედ იბაზი ან ორი შაური მაინც იიღოს თვეში, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებაში 5—6 %.

რასაკვირველია, უკელა იმ მიზეზებს ფეხვები ჩვენი სოფლის საერთო უკულტურობაში აქვს და

მარტიდ ძნელი გასადევნი ხდება, რადგან რაღიკა-  
ლური გარდაქმნა სკირია მთელს ფსიხოკას და სა-  
ზოგადო წყობილებას. რაიმე დარიგებით და ქადა-  
გებით მარტო ძნელია გაუაროვება იმ საჭმისა,  
შენახვა-გაცემის ოპერ კუტისა, რომლისთვისაც ხალ-  
ხი ჯერ მომზადებული არ არის და მარტო სახელ-  
მწიფო ბანკის თანხით შორს ვერ წავა საკრედიტო  
ამხანაგობა; მით უფრო რომ სახელმწიფო ბანკი  
სრულიად უმიზებოდ და მოულოდნელიად ადიდებს  
სარგებლის გადამწყვეტ პროცენტს. აქამდის იყო 5  
და ეხლა 6 გავეიხადეს. შეიძლება, კიდევაც მოუ-  
მატონ და მაშინ თითქმის შეუძლებელი გაპხდება  
ბანკების არსებობა, რადგან თვითონაც თუ აუშია  
1/0-ს მაშინ ხომ იაფი და ხელმისაწიდომი აღარ იქ-  
ნება და აღარც სოფლისთვის მარგებელი, არც თა-  
ვის ოპერაციების მოიმედე. კარი იქნებოდა პრე-  
სამ და საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ გა-  
რემოებას და ვისაც როგორ შეუძლიან იმოქმედოს  
პროცენტის დაკლებაზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში  
ისედაც ფეხმოუმაგრებელი ამხანაგობანი იძულე-  
ბულნი იქნებიან სულ დაიშალნენ და დაწყებულ  
საჭმეს სამერმისოდაც ხალისი დაუკარგონ ხალხის  
თვალში.

#### ტ. მ — შვილი

## ნ ა რ ე ვ ი


ფრანგ ინჟინერს დელისონს გამოუგონია აპა-  
რატი, რომლის საშუალებით ერთგვარად თავი-  
სუფლად შეიძლება მოძრაობა როგორც ზღვაზედ  
და მიწაზედ, ისე ჰაერში. აპარატის ორიგინალო-  
ბას ის შეადგენს, რომ კომპინაცია კი არ არის,  
ხმელზე, ზღვაზე და ჰაერში მოძრავ მანქანებისა,  
არამედ სულ ახალ პრინციპები იგებული. მისი  
ელისი ისეა გამართული, რომ აპარატში მჯდომს  
შეძლება აქვს, თვით მოძრაობის დროს — ფორმა  
შეუცვალოს და მოქნევის რაიონი გაუდიდოს ან  
დაუპატაროს სურვილისამებრ. ეს უკანასკნელი  
თვისება ნებას აძლევს ყველა სფეროში, როგორც  
ჰაერში, ისე წყალში — ერთგვარის ძლიერებით იმოქმე-

დოს. გამოცდამ დაამტკიცა, რომ უკეთესებ/სუს-  
ტად იძერის აპარატი მიწაზედ, რესტრუქტული-  
სონს განუზრახავს მისი გადაკეთებას—იმისაც

ერთ ინგლისელ მონალირეს, ინდოეთში ნა-  
დ რობის დროს მაუკლავს ვეფხვი; როცა გაუტყა-  
ვებიათ, დამსწრენი გაუკუირვებია საოცარ მოვლე-  
ნის: მთელი ტანი ნაღირისა ბრკუვიალებდა, რო-  
გორც ფოსფორი. ღამე ხალხი შეკრებილა და ღვთის  
სასწაულიად ჩაუთვლიათ, რამაც დიდი აურზაური  
გამოიწვია თურმე. ერთ მოლის განუცხადებია, რომ  
ეს სამღვთო, წმინდა ვეფხვი იყო, სამოთხიდან გა-  
მოგზავნილი და ინგლისელებმა მოგვიყლეს. საწ-  
ყალ მონალირეს ძლივს დაუხწევია თავი სიკვდილი-  
საგან. ადგილობრივ მეცნიერებს აუხსნიათ, რომ  
ეს ახალი ტიპია ცხოველის—Tigris Phosforicus.  
ორი დღის შემდეგ ვეფხვის ხორცს სრულიად და-  
უკარგავს ბრწყინვალება და გახრწნოვ დაწყო  
ინდოელების წმინდანს.

**ეშმაკების განდევნა რუსეთში.** განვეთ „რეჩ-  
ში“ ტრეგუბოვი იღწერს, თუ როგორ განდევნება  
ეშმაკები პეტერბურგის ახლო, თოფის-წამლის საწ-  
ყობებთან 20-ს მკათათვეს. ათასობით ხალხი შე-  
იკრიბა წმ. პარასკებას ეკლესიასთან, გატატვლე-  
ბულ ავადმყოფ ქალს მიეწეოდნენ ყმაწვილი კა-  
ცები მაღლა ხატითან, თან თმებით აქეთ-იქით უხ-  
ლიდნენ თავსა და უყვიროდნენ: „ემთხვი პარას-  
კებას, განდევ ეშმაკო!“ ძალად ასხავდნენ პირში  
ავადმყოფს ნაკურთხს, ჭუკვიან წყალს და ზეთსა.

ესე აწვალებდნენ მთელს საათს და ბოლოს,  
როცა მიაგნეს დამნაშავეს „თვალის ცემისას“ — გა-  
დასცეს მშობლებს.. ასევე მოექცნენ სხვა ავადმყო-  
ფებსაც და ეს გავრძელდა მთელ დღე და ღამეს.  
როცა ტბეგუროვი შეეკითხა, რათ ხდიან ავადმყო-  
ფებს, აუხსნეს, რომ ავადმყოფს ზედ არც ერთი  
ნასკვი არ უნდა ჰქონდეს, რადგან შიგ დაიმალება  
ეშმაკი და ავადმყოფი იმ მორჩებათ.






მ თ ი თ ხ მ ვ ე თ უ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ლვინო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ლვინის მორანა და ფატანა  
საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუცილია  
1,000,000 ვედრო ლვინო 3,000,000 ბან.

საზოგადოებას იქვე განკუთვილებანი: ბაქოში, ასხა-  
შადში, ტაშკენთში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში,  
ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ლვინის გადალებ-გადმოდება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, ვოკოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

გვერდის საზოგადოება „კახე-  
თი“ დაარსებულია 1894 წელს. სა-  
ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-  
ხეთის“ საზოგადოების ფავორის არვე  
866', ღმენის ვენაცია, საიდამაც  
უზიდავე საზოგადოებას ნამ-  
დვილ კახურ ლვინოს!

## კალა მრთობაში!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადო-  
ების წევრებიდ და ამით დაიხსენით  
თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-  
ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან  
ერთად შეუწყის ხელი ლვინით და  
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-  
ხელისთვის ფრიად სასარგებლო  
„საზოგადოების“ გაფართოვება—  
ვაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-  
რების და გამდიდრების მომასწავე-  
ბელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების  
საჭხვები მოწვერილია და მავიდან  
დაზინდულია.

მოითხოვთ საზოგადოების  
ჭარბება.